

შპს ფაინენშლ ჩეინ კორპორეიშნ

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანია: შპს ფაინანსულ ჩეინ კორპორეიშნ
 პერიოდი: 2024
 ვალუტა: GEL

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	2 023	2 024
<i>მიმდინარე აქტივები:</i>			
ფული და ფულის ექვივალენტები		460846	506378
დებიტორული დავალიანება		1298587	1229992
სხვა მოკლევადიანი აქტივები		24090	5625
სულ მიმდინარე აქტივები		1783523	1741995
<i>გრძელვადიანი აქტივები:</i>			
ძირითადი საშუალებები	6	214522	211365
არამატერიალური აქტივები		2233	2233
სულ გრძელვადიანი აქტივები		216755	213598
სულ აქტივები:		2000278	1955593
<i>მიმდინარე ვალდებულებები:</i>			
კრედიტორული დავალიანებები		9425	20059
მიღებული ავანსები		1180	2104
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		0	23902
საგადასახადო/საპენსიო ვალდებულებები		80378	79782
სულ მიმდინარე ვალდებულებები		90983	125847
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
სულ ვალდებულებები :		90983	125847
<i>კაპიტალი:</i>			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1909295	1829746
სულ კაპიტალი:		1909295	1829746
სულ ვალდებულებები & კაპიტალი:		2000278	1955593

მთავარი ბუღალტერი
 ანი პაპიძე

ა. პაპიძე



კომპანია: შპს ფაინანსულ ჩეინ კორპორეიშნ
 პერიოდი: 2024
 ვალუტა: GEL

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	შენიშვნა	2023	2024
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან		10 958 323	11 175 947
გაწეული მომსახურების ხარჯი		(9 859 479)	(9 971 415)
საერთო მოგება		1 098 844	1 204 532
დასაქმებულთა ანაზღაურება		(323 509)	(405 783)
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი		(9 579)	(9 499)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(43 015)	(50 773)
საოპერაციო მოგება		722 741	738 477
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები		40 898	15 786
არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	5	1 810	(56 954)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადამდე		765 449	697 309
მოგების გადასახადის ხარჯი		(91 950,0)	(116 633,0)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		673 499	580 676

მთავარი ბუღალტერი
 ანი პაპიძე

ა. ჩაჩიძე



კომპანია: შპს ფაინანსლ ჩეინ კორპორეიშნ

პერიოდი: 2024

ვალუტა: GEL

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	2023	2024
საწესდებო კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	324 044	-
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში	1 756 849	1 909 295
სულ საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2 080 893	1 909 295
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	673 499	580 676
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(521 053)	(660 225)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(324 044)	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 909 295	1 829 746

ა. ჯაჩიძე



შპს ფაინენშლ ჩეინ კორპორეიშნ

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ფაინენშლ ჩეინ კორპორეიშნ (ს/ნ 405117706), შემდგომში კომპანია, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჟიული შარტავას ქ. N 41ე, საოფისე ფართი N3.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბუღალტრო, საკონსულტაციო და HR მომსახურების გაწევა.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კომპანია ნერგავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ ახალ და შესწორებულ სტანდარტს საჭიროებისამებრ.

ფასს 16 (იჯარა) ცვლის ბასს 17 იჯარას და მეიჯარისათვის აუქმებს საოპერაციო და ფინანსური იჯარების კლასიფიკაციას. კომპანიის მიერ მიღებული იჯარა არ განიხილება ფინანსურ იჯარად, შესაბამისად საიჯარო ხელშეკრულება არ ხვდება ფასს 16-ის აღრიცხვის ფარგლებში. რადგან მიღებული იჯარები არის მოკლევადიანი, შეზღუდული საქმიანობის სფეროების დაშვებული და ქონების არსებითად გადაკეთება და იჯარით გადაცემის უფლება არ აქვს კომპანიას, იგი არ წარმოადგენს ფასს 16-ით აღრიცხვას და აღირიცხება როგორც მოკლევადიანი იჯარა.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ქართულ ლარში.

3. ნაღდი ფული და ფულადი ექვივალენტები

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას. კომპანიაში არ წარმოებს ოპერაციები ნაღდი ფულით. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2023	2024
ლარი / აშშ დოლარი	2,6894	2.8068
ლარი / ევრო	2,9753	2,9306

4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შრომის ანაზღაურებას, კომუნიკაციის და კომუნალურ ხარჯებს, საბანკო მომსახურებას, მარკეტინგულ მომსახურებას და სხვა საოფისე და საოპერაციო ხარჯებს.

5. სავალუტო სახსრების გადაფასება

სავალუტო ოპერაციების გადაფასება ხორციელდება ყოველთვიურად საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად:

	2023	2024
არასაოპერაციო შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	104055	43522
არასაოპერაციო ხარჯები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-102245	-100476

6. ამორტიზაცია

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება ექსპულატაციაში შესვლის დღიდან. ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 5 წლით.

ოფისის (შენობის), რომელიც კომპანიამ შეიძინა 2021 წელს, სასარგებლო მომსახურების ვადად აღიარებულია 30 წელი.

7. დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად «ესტონურ მოდელზე» გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს. შპს ფაინენშლ ჩეინ კორპორეიშნ-მა 2024 წელი დაასრულა მოგებით, ამავე წელს დივიდენდის გატანა განხორციელდა წინა წლების გაუნაწილებელი მოგებიდან და დაიბეგრა 15%-ით მოგების გადასახადით.

მთავარი ბუღალტერი

ანი პაპიძე

ა. პაპიძე

